ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

**ძვირფასო მასწავლებელო,**

ეს კინგსის გასული სეზონის **საოლიმპიადე ამოცანებია,** რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც საკლასო აქტივობებისას, **ასევე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს.**

კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულის სეზონზე **რეგისტრაცია უკვე დაიწყო.** მოსწავლე **დასარეგისტრირებლად უნდა ეწვიოს ბმულს: www.kings.ge**

**რომელ საგნებში ტარდება ოლიმპიადა?**
კინგსის ოლიმპიადა წელს 6 საგანში ტარდება: მათემატიკა, ინგლისური, ქართული, ბუნება, ისტორია და ინტელექტი.

**რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწლეობის მიღება?**

კინგსის მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის ოლიმპიადაზე 2-დან მე 12 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ბუნების ოლიმპიადა მე-2, მე-3 და მე-4 კლასელებისათვის, ისტორიის ოლიმპიადა მე-5 კლასიდან ზემოთ, ხოლო ინტელექტის ოლიმპიადა მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ტარდება.

**ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ:** https://kings.ge/news/1058

## კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
## მე-5 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები და მათი მართლწერა

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. როგორია ხაზგასმული არსებითი სახელი წინადადებაში?
„ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანა კალანდაძის საიუბილეო საღამო."
ა) საზოგადო ბ) საკუთარი გ) კრებითი

2. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული არსებითი სახელები წინადადებაში:
„ დღისა და ღამის გასაყარზე იდგა მამული!"
ა) მოქმედებითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში

3. რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი წინადადებაში?
„ პიგმალიონის ნატიფმა ქანდაკებამ მას ბედნიერება მოუტანა."
ა) მოთხრობითში ბ) სახელობითში გ) ნათესაობითში

4. ჩამოთვლილი სახელებიდან რამდენია ზედსართავი სახელი?
„საუკეთესო, მწუხარე, რაინდი, უბედნიერესი, ზღაპარი, თუთიყუში"
ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი

5. რამდენი არსებითი და რამდენი ზედსართავი სახელია ტექსტში?

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

„ ფერად-ფერადი ყვავილებით მოირთო გორაკი და ცისფერი ზეცა ამ სილამაზეს დაჰნათოდა სიყვარულით.“

ა) ხუთი არსებითი და ორი ზედსართავი
ბ) სამი არსებითი და ერთი ზედსართავი
გ) ოთხი არსებითი და ორი ზედსართავი

6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი გვაქვს:

ა) გარკვეული ბ) გაურკვეველი გ) ჩამოთვლილთაგან ორივე შესაძლებელია

7. გაურკვეველი რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:

ა) ათი, ორმოცდაორი, ორმოცდაათი ბ) უამრავი, ურიცხვი, მრავალი
გ) სამი, თორმეტი, ცამეტი

8. რთული რიგობითი რიცხვითი სახელები იწერება:

ა) ცალ-ცალკე ბ) ზოგი ერთად, ზოგი ცალ-ცალკე გ) ერთად

9. რომელია სწორად დაწერილი რთული რიცხვითი სახელი?

ა) ოთხმოცდა ათი ბ) მეთოთხმეტე გ) მე-ათასე

10. რომელია სწორად დაწერილი რთული რიცხვითი სახელი?

ა) მე-200 ბ) მე-200-ე გ) 200-ე

**II სავარჯიშო: ნაცვალსახელი და მისი ჯგუფები**

**შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ**

11. პირველი პირის ნაცვალსახელებია:

ა) მე, ჩვენ ბ) შენ, თქვენ გ) ის, ისინი

12. კუთვნილებითი ნაცვალსახელებია:

ა) თქვენი, მათი ბ) ესენი, ისინი გ) ეს, მან

13. ჩვენებითი ნაცვალსახელი *ეგ* გამოხატავს:

ა) მესამე პირთან სიახლოვეს
ბ) პირველ პირთან სიახლოვეს
გ) მეორე პირთან სიახლოვეს

14. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მესამე პირის ნაცვალსახელი?

ა) მე ვამაყობ შენით! ბ) მას მოსწონს დედის ნაყიდი კაბა.
გ) შენ გაიხარე, შვილო!

15. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) მან დაიპყრო რომი.
ბ) მეგობარმა თავისი წიგნი მაჩუქა.
გ) მათმა იყიდეს ყვავილები.

**III სავარჯიშო: ზმნები და მათი მართლწერა**

**შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ**

16. რომელ დროშია ზმნა წინადადებაში:

„ შობის დილაც გათენდა .“

ა) ახლანდელში ბ) წარსულში გ) მომავალში

17. რომელ დროშია ზმნები წინადადებაში:

„ ზის ტოტზე მაიმუნი და ბანანს მიირთმევს. “

ა) ახლანდელში ბ) წარსულში გ) მომავალში

18. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) კესოს დიდედამ გემრიელი ხაჭაპური გამოუცხო.

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

ბ) ზურაბი დილაობით ბევრს ვვარჯიშობდა.

გ) მაგდანა თავის ლურჯას კარგად უვლიდა.

19. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) მეც უამბე ყოველივე დედას.

ბ) მამა სამსახურიდან გაათავისუფლეს.

გ) დიდედა პაპას წინდებს უქსოვდა.

20. რომელია სწორად დაწერილი ზმნა?

ა) აბავს ბ) აბამს გ) დაამბა